

შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,038,110	809,967
გრძელვადიანი ინვესტიციები		980,515	128,500
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,018,625	938,467
სასაქონლო მარაგები	5	387,563	75,354
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,630	176,263
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		16,294	86,531
სხვა მიმდინარე აქტივები	6	750,087	546,979
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,155,574	885,127
სულ აქტივები		3,174,199	1,823,594
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	91,034
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,793,204	523,686
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,793,204	614,720
სულ ვალდებულებები		1,793,204	614,720
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,380,995	1,208,874
სულ საკუთარი კაპიტალი		1,380,995	1,208,874
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,174,199	1,823,594

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	9	2,914,784	4,519,215
ამონაგების თვითღირებულება		(1,167,880)	(1,810,861)
საერთო მოგება		1,746,905	2,708,354
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,651,032)	(1,530,035)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		73,069	34,532
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		3,179	(117)
მოგება დაბეგვრამდე		172,121	1,212,733
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		172,121	1,212,733

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებე ლი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	(3,859)	(3,859)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		1,212,733	1,212,733
ნაშთი - 31.12.2018	-	1,208,874	1,208,874
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		172,121	172,121
ნაშთი - 31.12.2019	-	1,380,995	1,380,995

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სფრინგ კონსტრაქშენი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 18/02/2011). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის გლდანის რაიონში, ილორის ქ., N 5 ბ. 30 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა (ასაწყობი კონსტრუქციების მონტაჟი და დაყენება სამშენებლო მოედნებზე, რემონტი, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია).

კომპანიის დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი (პ.ნ. 01004000797)

შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“ არის ოთხი იურიდიული პირის წილის მფლობელი, იხ. ქვემოთ:

კომპანია	საიდენტიფიკაციო კოდი	წილის ფლობა
შპს ბაკურიანი რეზიდენსი	405244506	33%
შპს ლოპოტა ინვესტი	404929681	33%
შპს კოდი	402050016	50%
შპს ჯეო ინვესტ საქართველო	405125449	49%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება ან/და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების დიდ ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	
სავაჭრო მოთხოვნები	176,263	178,265	(2,002)
გადახდილი ავანსები	26,341	26,641	(300)
სხვა	75,354	66,350	9,005
სხვა მიმდინარე აქტივები	520,638	419,033	101,605
ძირითადი საშუალებები	804,618	792,952	11,665
სავაჭრო ვალდებულებები	523,381	523,103	278
საგადასახადო ვალდებულებები	91,034	24,485	66,548
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,208,874	1,155,727	53,147
ნეტო ამონაგები	4,519,215	4,490,470	(28,745)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,810,861)	(2,118,807)	(307,947)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,291,873)	(1,122,820)	169,053
ცვეთა და ამორტიზაცია	(43,636)	(53,108)	(9,472)
საპროცენტო შემოსავალი:	34,532	-	(34,532)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(194,526)	(64,225)	130,301
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,212,733	1,131,392	(81,341)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(3,859)	24,336	28,195
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,208,874	1,155,727	(53,147)

შენიშვნა 4.

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარ ი	მსუბუქი ავტომობი ლები	უმრავი ქონების კეთილმოწ ყობა	ბიოლოგი ური აქტივი
ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
1 იანვარი 2018 წ.	-	689	9,636	17,339	34,400	153,349	-
შემოსვლა	25,000	-	7,725	41,851	85,800	477,024	5,350
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	25,000	689	17,361	59,190	120,200	630,372	5,350

დაგროვილიცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი 2018 წ.	-	(85)	(166)	(1,142)	(3,167)	-	-
წლიური ცვეთა	-	(138)	(2,949)	(6,214)	(20,570)	(13,765)	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	-	(223)	(3,114)	(7,355)	(23,737)	(13,765)	-

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018 წ.	25,000	466	14,246	51,834	96,463	616,607	5,350
----------------------	--------	-----	--------	--------	--------	---------	-------

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარ ი	მსუბუქი ავტომობი ლები	უმრავი ქონების კეთილმოწ ყობა	ბიოლოგი ური აქტივი
1 იანვარი 2019 წ.	25,000	689	17,361	59,190	120,200	630,372	5,350
შემოსვლა	-	-	23,351	56,273	65,000	243,699	11,904
გასვლა	-	-	(8,202)	-	(60,800)	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	25,000	689	32,510	115,463	124,400	874,071	17,254

დაგროვილიცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი 2019 წ.	-	(223)	(3,114)	(7,355)	(23,737)	(13,764)	-
წლიური ცვეთა	-	(138)	(4,453)	(18,329)	(28,973)	(73,886)	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	2,806	-	19,889	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	-	(361)	(4,761)	(25,684)	(32,821)	(87,650)	-

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2019 წ.	25,000	328	27,749	89,779	91,579	786,421	17,254
----------------------	--------	-----	--------	--------	--------	---------	--------

შენიშვნა 5.

სასაქონლო მარაგები

სპორტული მოედნების მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის დანახარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი
საწყისი ნაშთი	75,354	365,777
შესყიდვა	1,480,088	1,520,438
რეალიზაცია	(1,167,880)	(1,810,861)
საბოლოო ნაშთი	387,563	75,354

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2019 ლარი	2018 ლარი
გადახდილი ავანსი	308,817	26,341
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	66,327	31,770
მისაღები პროცენტები	107,600	34,532
გაცემული სესხები	267,343	454,336
სულ:	750,087	546,979

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	30,604	12,931
მიღებული ავანსები	1,752,893	305
სხვა მიმდინარე ვალდებულება	9,707	510,450
სულ:	1,793,204	523,686

შენიშვნა 8.

ამონაგები

კომპანიის ძირითად საოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს საფეხბურთო მოედნების მოწყობა, მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა. აგრეთვე ფლობს მცირე ზომის სასტუმროს სადანაც მიღებული ამონაგები აგრეთვე ნაჩვენებია ქვემოთ ნაჩვენებ მონაცემებში

	2019	2018
	ლარი	ლარი
შემოსავალი საფეხბურთო მოედნების მოწყობიდან	2,870,590	4,516,445
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	44,194	2,770
	2,914,784	4,519,215

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,270,115)	(1,291,873)
ცვეთა და ამორტიზაცია	(125,777)	(43,636)
რეკლამის ხარჯები	-	(1,292)
კომუნალური ხარჯი	(8,786)	(2,317)
კვების ხარჯი	(40)	(661)
მომსახურების ხარჯი	(160,338)	(169,415)
არარეზიდენტის მომსახურება	(1,405)	(385)
სხვ. საგადასახადო ხარჯი	(156)	(229)
საოფისე ინვენტარი	-	(279)
მივლინების ხარჯი	-	(300)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(9,562)	(5,249)
ბანკის საკომისიო	(3,838)	(3,288)
სხვა საერთო ხარჯი	(23,829)	(11,111)
სატრანსპორტო მომსახურება	(16,202.64)	-
საიჯარო ქირა	(24,657.52)	-
დაზღვევა	(6,326.89)	-

სულ: **(1,651,032)** **(1,530,036)**

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (28.09.2020) კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი

